გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

30 იანვარი - 5 თებერვალი

GRASS
REFORMANDA

- „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძე წარადგინა;
- „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მწვავედ გააკრიტიკა;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ბექა ვარდოსანიძის, პრორუსულად განწყობილი ბლოგერისა და ულტრამემარჯვენე აქტივისტის, სახლი გაჩხრიკა;
- პროკრემლინური პროპაგანდა ირწმუნება, რომ ღარიბაშვილი თანამდებობიდან მისი კონსერვატიული ღირებულებებისა და ჩინეთთან ურთიერთობის გამო გადააყენეს;
- პროკრემლინური პროპაგანდის თანახმად, საქართველოში არჩევნების შედეგებს აშშ-ს საელჩო ადგენს.

„ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძე წარადგინა

- პირველ თებერვალს გამართულ ყრილობაზე „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის კანდიდატად ირაკლი კობახიძე, მმართველი პარტიის თავმჯდომარე, წარადგინა. ხოლო ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის თავმჯდომარე გახდება. კობახიძემ სიტყვით გამოსვლისას „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში დემოკრატიის, მშვიდობის, ეკონომიკური განვითარებისა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მისი დამსახურებაა. ახლად წარდგენილი პრემიერ-მინისტრი თავდაჯერებულია, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტია წარმატებული იქნება. „ქართული ოცნების“ მიზნებზე საუბრისას მან პირველ მისიად დაასახელა ფიზიკურად და სულიერად გამთლიანებული საქართველო აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად, ხოლო მეორე მისიად - ქართველი ხალხის კეთილდღეობის ევროპული სტანდარტის დაწესება.
- ირაკლი ღარიბაშვილმა, მმართველი პარტიის ახალდანიშნულმა თავმჯდომარემ, აგრეთვე გადაუხადა მადლობა ბიძინა ივანიშვილს „2011 წელს მის მიერ ინიცირებული ისტორიული სახალხო გამარჯვებისთვის“, როდესაც „ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა“. ასევე, ღარიბაშვილი ამტკიცებდა, რომ ივანიშვილის გარეშე, საქართველო ომში იქნებოდა გახვეული და ის 2008 წელსაც რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, აგვისტოს ომი არ მოხდებოდა. მან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოიხსენია, როგორც „კრიმინალური ორგანიზაცია“ და „ანტიეროვნული ინტერესების გამტარებელი ბოროტი ძალა“, რომელიც კვლავ

პოლიტიკაშია. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ 2024 წლის არჩევნებში ერთადერთი ძალაა, რომელიც ქვეყანას ომსა და ქაოსს თავიდან აარიდებს.

- თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, საქართველოს ძალიან რთული წელი ჰქონდა, რადგან რადიკალების ზიანის მომტანი საქმიანობის გამო სერიოზული გამოწვევები და საფრთეები გადაიტანა. „ამ ერთიანობით და სულისკვეთებით დარწმუნებული ვარ მშვიდობასაც შევინარჩუნებთ და საფრთხეებსაც ავარიდებთ ქვეყანას“, - აღნიშნა კალაძემ.
- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის ტანდემმა ქვეყანას - პოლიტიკური და ეკონომიკური მიღწევები, ხოლო მმართველ პარტიას არჩევნებში გამარჯვება მოუტანა. პაპუაშვილის შეფასებით, პრემიერ-მინისტრის პარლამენტიდან შერჩევა საქართველოს, როგორც საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყნის, დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია.
- პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის განცხადებით, მმართველ პარტიაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები ივანიშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ ყოფილა და დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა. თუმცა, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ივანიშვილს გარკვეული მოსაზრებები აქვს, რადგან „ამხელა გამოცდილების მქონე ადამიანს ჩვენი ქვეყნისთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული და ვერცერთ ხინჯს ვერ ვიპოვით მის მოქმედებაში ან ანალიზის უნარში“.

„ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მწვავედ გააკრიტიკა

დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობაზე მომუშავე ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა 30 იანვარს გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტმა 29 იანვარს ისინი არ მიიწვიეს მმართველ პარტიას, ოპოზიციასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა პარლამენტს მიმართეს მოთხოვნით, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ სამუშაო პროცესებში დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართვა უზრუნველეყოთ. „ჩვენი მიმართვა ამ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა და პარლამენტმა უარი თქვა სამუშაო პროცესში ჩართვის ინიციატივის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეხვედრაზე მიწვევაზე“, - წერია განცხადებაში, რომლის მიხედვითაც, ევროკომისიის მე-9 დათქმის გათვალისწინებით, პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაო პროცესის გაფართოება.

ამასთანავე, ISFED-ისა და IDFI-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ქართული ოცნება“ არაა მზად, ევროკომისიის რეკომენდაციების საკითხზე სამუშაო პროცესის ინკლუზიურობა უზრუნველყოს, რაც სერიოზული პრობლემაა.

- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომელთაც ეკუთვნოდა განცხადება,

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა დატოვეს, რადგან მათი კანდიდატები პლატფორმის თავმჯდომარეები ვერ გახდნენ. პაპუაშვილმა ქმედებას რადიკალიზმი უწოდა და დონორ ორგანიზაციებს აღნიშნულის შეჩერებისკენ მოუწოდა. ასევე, მან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გააკრიტიკა იმ ფაქტის გამოც, რომ არც საზოგადოებას და არც პარლამენტს შეატყობინეს გადაწყვეტილების შესახებ, დაეტოვებინათ პლატფორმა. მან, აგრეთვე, განმარტა, რომ ამ ორგანიზაციებმა მხოლოდ დონორ ორგანიზაციებს მიმართეს, რადგან ანგარიშვალდებულებას მხოლოდ მათ მიმართ გრძნობენ. დასკვნის სახით, პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ მათ საქმიანობაზე პასუხისმგებელი დონორი ორგანიზაციები არიან. „ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არის პროცესის დისკრედიტირების მცდელობა ამ ენჯეოების მხრიდან, ამიტომ მათი დონორების პასუხისმგებლობაა, შეაჩერონ ეს რადიკალიზმი“, - თქვა პაპუაშვილმა.

- პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ აღნიშნა, რომ პარლამენტი თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმაში, რომელიც 200 ოეგანიზაციას აერთიანებს. აქედან გამომდინარე, ინკლუზიური დისკუსიების არგამართვაში პარლამენტის დადანაშაულება უსაფუძვლოა, განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებისგან, რომლებმაც თავიანთი ნებით დატოვეს პლატფორმა. „ვფიქრობ, ეს უფრო სკანდალურობისთვის არის გაკეთებული; დღეს მათი ეს მიმართვა განხილული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ჩრდილი მიაყენოს ამ მიმდინარე პროცესს“, - განაცხადა ვოლსკიმ.
- მიხეილ სარჯველაძე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ირწმუნებოდა, რომ ოპოზიცია და მისი გავლენის ქვეშ მყოფი გარკვეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ, მაქსიმალურად დააზიანონ ხელისუფლების რეპუტაცია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ოპოზიცია აღნიშნულს თავიდანვე ცდილობდნენ, როდესაც საქართველო წარმოაჩენდნენ, როგორც ქვეყანას, რომელიც არ იმსახურებდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს. სარჯველაძის თქმით, ზოგიერთი ორგანიზაცია ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრები არიან და მიზნად ისახავენ, ძირი გამოუთხარონ ქვეყნის წარმატებას, რათა მმართველი პარტია დააზიანონ. თუმცა სარჯველაძემ აღნიშნა, რომ თუ მათ ვერ შეძლეს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის წართმევა, მომავალშიც ხელი მოეცრებათ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ბექა ვარდოსანიძის, პრორუსულად განწყობილი ბლოგერისა და ულტრამემარჯვენე აქტივისტის, სახლი გაჩხრიკა





31 იანვარს, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების საქმის გამოძიების ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ბექა ვარდოსანიძის ბინა და ავტოფარეხი გაჩხრიკა და სხვადასხვა კომმპიუტერული და ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი ტექნიკა ამოიღო. გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ელექტრონული ფოსტიდან სხვადასხვა უწყებაში, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ტელეკომპანია „იმედის“ მეილებზე, გაიგზავნა ტერორისტული შინაარსის მუქარის შემცველი შეტყობინებები. ტექსტში მითითებული იყო, რომ კლუბში „ბასიანი“, ბარში „რატის ბარში“ და რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საახალწლო ღონისძიების ფარგლებში, ასევე მიმდებარე ტერიტორიასა და სხვადასხვა ავტომანქანაში დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობები. ანტიდასავლური დეზინფორმაციითა და ულტრამემარჯვენე შეხედულებებით ცნობილი ვარდოსანიძე იმავე დღეს გაათავისუფლეს.
ინციდენტმა პრორუსულად განწყობილი დაჯგუფებები აღაშფოთა. მაგალითად, „ალტ-ინფო“ იმდენად შეწუხდა, რომ საგანგებო გადაცემაც დააანონსა.

- ირაკლი მარტინენკომ, „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ტერორიზმის მცდარი შეტყობინების გამო ბექა ვარდოსანიძის დადანაშაულებასა და სუს-ის მიერ დაკითხვას უსამართლობა უწოდა. ის ირწმუნებოდა, რომ მმართველმა პარტიამ დასავლეთთან შეთანხმება გააფორმა, რომლის ფარგლებშიც ვარდოსანიძის წინააღმდეგ მცდარ ბრალდებებს გაავრცელებდა, როდესაც მისი ერთადერთი „დანაშაული“ მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვაა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ბიძინა ივანიშვილს დაავალა, გაენეიტრალებინა კონსერვატიული ფრთა საქართველოში და ქვეყამა რუსეთთან ომში ჩაერთო.

- პრორუსული დაჯგუფების მორიგი ლიდერი შოთა მარტინენკო ასევე ამტკიცებდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა დასავლეთთან კონსერვატიული აქტივისტების გაჩუმებისა და კონსერვატიული ღირებულებების მქონე ღარიბაშვილის გადაყენების შეთანხმება დადო. მან ხაზი გაუსვა, რომ ბექა ვარდოსანიძე მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი ბლოგერი და კონსერვატიული იდეოლოგიის მხარდამჭერია, შესაბამისად, მისი დაკავება კონსერვატიული საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასია.

- „ალტ-ინფოს“ საგანგებო გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი ირწმუნებოდა, რომ დასავლეთი გარკვეული მეთოდებით მოქმედებს, ანუ თუ ქვეყნის მთავარი ავტორიტეტი დასავლეთის ინტერესებს ემორჩილება, აღარ აინტერესებს, ის ოლიგარქია თუ დიქტატორი, რომელიც სახელმწიფოს ანადგურებს. მან არგუმენტად უკრაინა დაასახელა, ხოლო კონკრეტულად - ვოლოდიმირ ზელენსკი, რომელიც, მისი თქმით, ოპოზიციურ პარტიებს ზღუდავდა, ეკლესიას საქმიანობას უკრძალავდა და უარს ამბობდა არჩევნების ჩატარებაზე - ამჟამად კი კვლავ დასავლეთის პარტნიორია. ამასთანავე, პროპაგანდისტის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად აღიქმებოდა მიუხედავად მისი რეპრესიული რეჟიმისა, როდესაც „ყოველ მესამე ადამიანს აპატიმრებდნენ,

ხოლო ყოველ მესამე დაკავებულს სიკვდილის პირამდე სცემდნენ“, რადგან ყოფილი პრეზიდენტი დასავლეთის ინტერესებს ემსახურებოდა.

- 2021 წლის 5 ივლისს ლგბტქი+ თემსა და ჟურნალისტებზე თავდასხმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, გურამ ფალავანდიშვილმა განაცხადა, რომ სუს-ის ქმედებები საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ გაცემული 9 ნაბიჯიდან ერთ-ერთი დათქმით აიხსნება. უფრო კონკრეტულად, პროპაგანდისტის თქმით, ევროკავშირი პირდაპირ მოითხოვს, საქართველოს კონსერვატიული ფრთა განეიტრალდეს და განადგურდეს.

- „ალტ-ინფოს“ გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი ირწმუნებოდა, რომ კონსერვატიული ფრთის წევრების დაკავებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ლიბერალური დასავლეთი და საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩი კელი დეგნანი ითხოვდნენ. აგრეთვე, მან გაიხსენა, რომ სუს-მა „ალტ-ინფო“ ტერორისტულ დაჯგუფებად მოიხსენია. აქედან გამომდინარე, ის ამტკიცებდა, რომ ბექა ვარდოსანიძესთან დაკავშირებული დაპირისპირება მხოლოდ „ლიბერალების, ანტიქართული ძალებისა და ეკლესიის მტრებისთვისაა“ ხელსაყრელი.

პროკრემლინური პროპაგანდა ირწმუნება, რომ ღარიბაშვილი თანამდებობიდან მისი კონსერვატიული ღირებულებებისა და ჩინეთთან ურთიერთობის გამო გადააყენეს

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი ზურაბ მახარაძე ირწმუნებოდა, რომ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის უცხოური წყაროებიდან დაფინანსება უნდა აიკრძალოს, რადგან აღნიშნული სხვა ქვეყნებს საშუალებას აძლევს, საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებში ჩაერიოს.

- ქარდავა აგრეთვე ამტკიცებდა, რომ 2024 წლის არჩევნების შემდეგ კოალიციური ხელისუფლების ჩამოყელიბება ომის საშიშროებას გაზრდის, რადგან დასავლეთი განიზრახავს, საქართველოც უკრაინის მსგავსად გეოპოლიტიკურ იარაღად გამოიყენოს.

- მორიგმა ცნობილმა პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა, რომელიც გადაცემის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ წამყვანია, ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის უკან დასავლეთი იდგა. თუ ღარიბაშვილი „ლგბტქი+ დღის წესრიგს“ ეწინააღმდეგებოდა და ტრადიციულ ღირებულებებს იცავდა, ევროკავშირმა „მთელ კონტინენტს განადგურება მოუტანა“, რაც გამოხატვის თავისუფლებისა და ლგბტქი+ უფლებების დაცვის მხარდაჭერას გულისხმობს. კვარაცხელიას თქმით, პრემიერ-მინისტრმა ევროპულ პარლამენტში კორუფცია ამხილა, ევროკავშირის ზოგიერთი

დირექტივა გააკრიტიკა და ჩინეთთან ურთიერთობები გაამყარა, რამაც ის დასავლეთისთვის მიუღებელი გახადა, ამ უკანასკნელმა კი აიძულა, თანამდებობა დაეტოვებინა.

- ვალერი კვარაცხელია ირწმუნებოდა, რომ დასავლეთი უკრაინას იმ მიზნით ეხმარება, რომ „ძმებს“, უკრაინელებსა და რუსებს, ერთმანეთის დახოცვა აიძულოს. ასევე, პროპაგანდისტი ამბობდა, რომ დასავლეთი მნიშვნელოვნად სარგებლობს უკრაინაში მიმდინარე ომით.

- პრორუსულ “GeWorld“-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში ვალერი კვარაცხელია წერს, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ყველა ლიდერი დასავლეთმა მოიყვანა. აგრეთვე, მანვე მოაწყო 1992 და 2003 წლის გადატრიალებები. აღნიშნულ ფონზე, ლოგიკურია, რომ სწორედ დასავლეთი იდგა ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის უკან.

- „ალტ-ინფოზე“ პროპაგანდისტის შეფასებით, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ჩინეთში გამართულმა ოფიციალურმა ვიზიტმა დასავლეთი დააშინა, რომ საქართველოში გავლენას დაკარგავდა, ხოლო ქვეყანას კანდიდატის სტატუსიც სწორედ აღნიშნულის გამო მიანიჭა. ღარიბაშვილის მოშორება ევროკავშირმა გადაწყვიტა, რადგან ის მხოლოდ პროდასავლურად განწყობილი არ იყო და სხვა ქვეყნებთანაც ამყარებდა კავშირებს.

- მორიგმა პროპაგანდისტმა ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ხელის შეშლაში დაადანაშაულა. ნარატივის თანახმად, ევროკავშირი საქართველოს საშუალებას არ აძლევს, რუსეთთან მოლაპარაკებები აწარმოოს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე კონტროლის აღდგენის ერთადერთი გზაა.

- პროპაგანდისტული წყაროს თანახმად, დასავლეთმა საქართველოში ეროვნული ღირებულებები და პოლიტიკური საქმიანობა მაშინ გაანადგურა, როცა ლიდერად შევარდნაძე დანიშნა.

პროკრემლინური პროპაგანდის თანახმად, საქართველოში არჩევნების შედეგებს აშშ-ს საელჩო ადგენს

- საქართველოს წინა საპარლამენტო არჩევნებზე საუბრისას ნიკოლოზ მჟავანაძემ, „ტელეკომპანია სეზონის“ წამყვანმა, აშშ-ს საელჩო გაიხსენა და აღნიშნა, რომ ყველამ იცოდა, თუ როგორ იყო საელჩო ჩართული პოლიტიკური პარტიების საპარლამენტო სიების შედგენაში.

- მაუწყებლობის ხშირმა სტუმარმა, დიმიტრი ჩუბინიძემ ნარატივი გაიმეორა და განმარტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები ირჩევენ, თუ რომელი პარტიები გადალახავენ საპარლამენტო ბარიერს. მან განაცხადა, რომ აშშ-ს საქრთველოში კოალიციური ხელისუფლების ჩამოყალიბება სურს, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მარტივად სამართავი და მანიპულირებადია.

- „ტელეკომპანია სეზონის“ მორიგი სტუმრის, მაია ნიკოლეიშვილის თქმით, აშშ ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამო საქართველოს დროებით მარტო დატოვებს და საშუალებას მისცემს, დამოუკიდებელი იყოს - რაც, მისი შეფასებით, ქვეყნისთვის ბედნიერების მომტანი იქნება. ამასთანავე, ნიკოლეიშვილის შეფასებით, სამხედრო დაპირისპირებების ფოკუსი სამხრეთ კავკასიიდან ბალტიის რეგიონში გადავიდა, რაც საქართველოზე წნეხს კიდევ უფრო შეამცირებს.
- იგივე პროპაგანდისტი, აგრეთვე, ირწმუნებოდა, რომ აშშ ერთადერთი მხარეა, რომელსაც კავკასიის რეგიონში ქაოსი სურს, შესაბამისად, ნებისმიერ ზომას მიიღებს, რათა, როგორც შუა აღმოსავლეთში, ზემოხსენებულ რეგიონშიც არეულობა დაამყაროს.